

891.5(09)

ბ - 748

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გოცაძე მედეა


„ბაჰმანამე“ და მისი ქართული ვერსია  
„ბაამიანი“

10. 01. 06. – მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა  
ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ა მ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2002



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გოცაძე მედეა

„ბაჰმანნამე“ და მისი ქართული ვერსია  
„ბაამიანი“

10. 01. 06. – მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა  
ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2002

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ალექსანდრე გვახარია.

ოფიციალური ოპონენტები:

- 1. პროფ. დოქ. თეო ჩხეიძე 10.01.06
- 2. ფილ. მეცნ. კანდიდატი პროფ. ი. კალაძე 10.01.06


დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წ. „28“ აგვისტოს 14<sup>00</sup>  
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს  
 P 10. 05. №4 სხდომაზე  
 მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 36

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში  
 მისამართი: უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წ. „30“ აგვისტოს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
 ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი  
 დოცენტი (რ. ციხითათრისძე)

*რ. ციხითათრისძე*  
 -1878-



### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომი ეძღვნება XII საუკუნეში ირანშაჰ ბენ აბი ალხაირის მიერ დაწერილ საგმირო-საფალავნო პოემას „ბაჰმანამე“ და მის ქართულ ვერსიას „ბაამიანს“, რომელიც XVI საუკუნეში უცნობი ავტორის მიერაა შესრულებული. ჩვენთვის საინტერესო სპარსული თხზულება ფირდოუსის „შაჰნამეს“ (X ს.) მიბაძვას წარმოადგენს. ქართული „ბაამიანი კიდევ ერთხელ ადასტურებს ფირდოუსისა და მის მიმბაძველთა პოპულარობას საქართველოში.

ფირდოუსის „შაჰნამეს“ მსოფლიოს უბჭყინ-ვალეს ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი სულისკვეთებითაა გამსჭვალული მთელი შემდეგდროინდელი სპარსული და მეზობელ ხალხთა ლიტერატურა. „შაჰნამე“ იყო დასაბამი მომდევნო პერიოდის ლიტერატურისა მთელს მახლობელ და შუა აღმოსავლეთში. ამას ადასტურებენ ფირდოუსის უკვდავი პოემის მიბაძვით დაწერილი თხზულებები. „შაჰნამეს“ მიბაძვა-გაგრძელებანი საგმირო-საფალავნო თემათა ციკლიზაციას ახდენენ. მათ რიცხვშია პოემა „ბაჰმანამე“. თხზულებაში გადმოცემულია ისფენდიარის შვილის, ბაჰმან მეფის ბრძოლა სისთანელი გმირების - როსტომის გვარის წარმომადგენელთა - ზაალის, ფარემორზის, ბანუგიშასფის, ზარბანუს, ბარზინისა და სხვა ფალავნების წინააღმდეგ. ავტორმა თავისი ფანტაზიით და, რა თქმა უნდა, ლიტერატურულ, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, განავრცო „შაჰნამეში“ მოკლედ გადმოცემული ბაჰმან მეფის ამბავი და საგმირო-საფალავნო ჟანრის კიდევ ერთი მხატვრულად